

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“  
ფინანსური ანგარიშგება  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის

## სარჩევი

|                                                                                                            |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                                                                      | 3  |
| მოსაზრება.....                                                                                             | 3  |
| მოსაზრების საფუძველი .....                                                                                 | 3  |
| ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა<br>ფინანსურ ანგარიშგებაზე ..... | 6  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე .....                                             | 7  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                                                   | 8  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                                                         | 9  |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიში .....                                                                         | 10 |
| ფულადი ნაკადების ანგარიში .....                                                                            | 11 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....                                                       | 12 |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                                 | 12 |
| 2. მომზადების საფუძვლები .....                                                                             | 12 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                                                      | 13 |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....                                           | 21 |
| 5. ფასს-ებზე გადასვლის განმარტება .....                                                                    | 21 |
| 6. ფიქსირებული აქტივები .....                                                                              | 22 |
| 7. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                                                       | 23 |
| 8. მოკლევადიანი მოთხოვნები .....                                                                           | 23 |
| 9. სასაქონლო მატერიალური მარაგი .....                                                                      | 23 |
| 10. დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან .....                                                            | 24 |
| 11. საოპერაციო ხარჯები .....                                                                               | 24 |
| 12. არასაოპერაციო შემოსავალი .....                                                                         | 25 |
| 13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....                                                        | 25 |
| 14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                                               | 27 |
| 15. სასამართლო დავები .....                                                                                | 28 |
| 16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა .....                                                                     | 28 |
| 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                                                        | 28 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიისაგან“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

## მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაფინანსებას იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან. 2023 წელს კომპანიამ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 9 046 172 ლარი. მიღებული დაფინანსება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია კაპიტალის მუხლზე „სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება“ (ანგ: 5490). კომპანია მიღებულ დაფინანსებას არ აღიარებს შემოსავლებში ხარჯების პროპორციულად და შესაბამისად არ მონაწილეობს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ბასს 20-ის შესაბამისად ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, როგორც წესი, მოგებაში ან ზარალში აღიარდება პროპორციულად ყველა საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დარიცხულია ცვეთის ანარიცხები მოცემულ აქტივებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება N 01-01-3/162 თანახმად შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ბალანსზე რიცხული „სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსების“ (ანგ: 5490) მუხლში 01.01.2022 წლის მდგომარეობით რიცხული თანხა - 107 362 540 ლარი, 2023 წლის მარტის თვეში შეტანილი იქნა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში. აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2022-2023 წლებში, პროექტების განსახორციელებლად მიღებული ტრანსფერები „სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსების“ მუხლიდან გადაკვალიფიცირდება „საწესდებო კაპიტალის“ მუხლში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება N 01-01-3/529 თანახმად, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიას“ (ს/ნ 445409415) უსასყიდლოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნამდე ვადით, სარგებლობაში გადაეცა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ჟიული შარტავას გამზირი N13-ში მდებარე 38 998 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.27.05.059) და მასზე განლაგებული N01/4 შენობა-ნაგებობის ნაწილი - 22811,65 კვ.მ. N02/1 - 6.56 კვ.მ., N03/1 - 6.62 კვ.მ., N04/1 - 6.62 კვ.მ., N05/1 - 6.62 კვ.მ., N06/1 - 6.62 კვ.მ., N07/1 -

6.72 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2023 წლის 14 აგვისტოს N01-01-3/414 ბრძანებით შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი სტადიონის ფუნქციონირებისათვის საჭირო და სტადიონის შიდა ნაწილში განთავსებული სხვადასხვა მოძრავი ქონება (სხვადასხვა ავეჯი და ინვენტარი და აღჭურვილობა) საერთო ღირებულებით - 423 079 (ოთხასოცდასამი ათას სამოცდაცხრამეტი) ლარი. აღნიშნული ქონების საზოგადოებისთვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზეზი იყო, რომ კომპანიამ შპს „დინამო ბათუმს“ (ს/კ245622205) უსასყიდლოდ დაუთმოს საფეხბურთო სტადიონი და უზრუნველყოს რიგი პირობები მატჩის გამართვისასთვის.

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ მიერ შპს „დინამო ბათუმის“ მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილია სარჩელი იჯარის ხელშეკრულებით შეუსრულებლობისა და თანხის დაკისრების თაობაზე. საბოლოო დაზუსტებული სარჩელის მიხედვით მოპასუხეს შპს „ბათუმის დინამოს“ (ს/კ 245 622 205) მოსარჩელის შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ სასარგებლოდ აქვს დავალიანება, ძირითადი თანხის 878 302 ლარის ოდენობით, რაც შეეხება დარიცხულ პირგასამტეხლოს მისი ოდენობა წარმოადგენს 1 156 264 ლარს. ასევე მოსარჩელე მოითხოვს შპს „დინამო ბათუმის“ მიერ დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურებას - 16 815 ლარის ოდენობით. კომპანია სასამართლო დავის მოსალოდნელ შედეგს აფასებს 50/50% ალბათობით.

## სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული

ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

## მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

## მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

## ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც

დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სესილი კიკნაძე (SARAS-A-988463)

გარიგების პარტნიორი

შპს „კვ ჯგუფი“

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

24 ივნისი 2024

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“**  
**2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის**

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება    | შენიშვნა | 31.12.2023         | 31.12.2022         |
|---------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                    |                    |
| ფული და ფულადი ექვივალენტები          | 7        | 5,189,548          | 4,705,779          |
| მოკლევადიანი მოხონვები                | 8        | 5,732,268          | 1,020,350          |
| დარიცხული მოთხოვნები                  |          | 56,524             | 54,065             |
| სასაქონლო მატერიალური მარაგი          | 9        | 100,470            | 60,186             |
| საგადასახადო აქტივი                   |          | 464,063            | 1,329,243          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>11,542,874</b>  | <b>7,169,623</b>   |
| ძირითადი საშუალებები                  | 6        | 121,489,268        | 266,401,763        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>121,489,268</b> | <b>266,401,763</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>133,032,142</b> | <b>273,571,386</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                  |          |                    |                    |
| დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან | 10       | 2,394,825          | 3,340,950          |
| სხვა დარიცხული ვალდებულებები          |          | 64                 |                    |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>2,394,889</b>   | <b>3,340,950</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>2,394,889</b>   | <b>3,340,950</b>   |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 105,505,504        | 144,167,440        |
| გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)          |          | (8,395,558)        | (5,780,679)        |
| რეზერვები                             |          | 33,527,307         | 131,843,675        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>          |          | <b>130,637,253</b> | <b>270,230,436</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>133,032,142</b> | <b>273,571,386</b> |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ბაქარ ჩიტაია

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გოჩა მამუჭაძე

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“**  
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება    | შენიშვნა | 31.12.2023         | 31.12.2022         |
|---------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                    |                    |
| ფული და ფულადი ექვივალენტები          | 7        | 5,189,548          | 4,705,779          |
| მოკლევადიანი მოხონებები               | 8        | 5,732,268          | 1,020,350          |
| დარიცხული მოთხოვნები                  |          | 56,524             | 54,065             |
| სასაქონლო მატერიალური მარაგი          | 9        | 100,470            | 60,186             |
| საგადასახადო აქტივი                   |          | 464,063            | 1,329,243          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>11,542,874</b>  | <b>7,169,623</b>   |
| ძირითადი საშუალებები                  | 6        | 121,489,268        | 266,401,763        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>121,489,268</b> | <b>266,401,763</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>133,032,142</b> | <b>273,571,386</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                  |          |                    |                    |
| დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან | 10       | 2,394,825          | 3,340,950          |
| სხვა დარიცხული ვალდებულებები          |          | 64                 |                    |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>2,394,889</b>   | <b>3,340,950</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>2,394,889</b>   | <b>3,340,950</b>   |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 105,505,504        | 144,167,440        |
| გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)          |          | (8,395,558)        | (5,780,679)        |
| რეზერვები                             |          | 33,527,307         | 131,843,675        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>          |          | <b>130,637,253</b> | <b>270,230,436</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>133,032,142</b> | <b>273,571,386</b> |

  
 ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი  
 ბაქარ ჩიტაია  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

  
 ბუღალტერი  
 გოჩა მამუჭაძე  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“  
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                           | შენიშვნა | 2023 წელი          | 2022 წელი          |
|-------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| შემოსავლები რეალიზაციიდან                 |          | 2,934,396          | 2,045,901          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები               |          | 3,789              |                    |
| <b>სულ შემოსავალი</b>                     |          | <b>2,938,185</b>   | <b>2,045,901</b>   |
| მომსახურების თვითღირებულება               |          | -                  | -                  |
| <b>მთლიანი მოგება (ზარალი)</b>            |          | <b>2,938,185</b>   | <b>2,045,901</b>   |
| <b>საოპერაციო ხარჯები:</b>                |          |                    |                    |
| შრომის ანაზღაურება                        |          | (2,480,148)        | (1,793,348)        |
| ცვეთა                                     |          | (2,667,493)        | (3,166,959)        |
| გადასახადები                              |          | (87,037)           | (80,614)           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                   | 11       | (1,579,863)        | (1,625,017)        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>             |          | <b>(6,814,542)</b> | <b>(6,665,938)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება (ზარალი)</b>         |          | <b>(3,876,357)</b> | <b>(4,620,037)</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები                 | 12       | 1,261,478          | 2,410,979          |
| არასაოპერაციო ხარჯი                       |          |                    | (1,020)            |
| <b>სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი</b>    |          | <b>1,261,478</b>   | <b>2,409,959</b>   |
| <b>მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)</b> |          | <b>(2,614,878)</b> | <b>(2,210,078)</b> |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ბაქარ ჩიტაია

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გოჩა მამუჭაძე

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                           | შენიშვნა | 2023 წელი          | 2022 წელი          |
|-------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| შემოსავლები რეალიზაციიდან                 |          | 2,934,396          | 2,045,901          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები               |          | 3,789              |                    |
| <b>სულ შემოსავალი</b>                     |          | <b>2,938,185</b>   | <b>2,045,901</b>   |
| მომსახურების თვითღირებულება               |          | -                  | -                  |
| <b>მთლიანი მოგება (ზარალი)</b>            |          | <b>2,938,185</b>   | <b>2,045,901</b>   |
| <b>საოპერაციო ხარჯები:</b>                |          |                    |                    |
| შრომის ანაზღაურება                        |          | (2,480,148)        | (1,793,348)        |
| ცვეთა                                     |          | (2,667,493)        | (3,166,959)        |
| გადასახადები                              |          | (87,037)           | (80,614)           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                   | 11       | (1,579,863)        | (1,625,017)        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>             |          | <b>(6,814,542)</b> | <b>(6,665,938)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება (ზარალი)</b>         |          | <b>(3,876,357)</b> | <b>(4,620,037)</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები                 | 12       | 1,261,478          | 2,410,979          |
| არასაოპერაციო ხარჯი                       |          |                    | (1,020)            |
| <b>სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი</b>    |          | <b>1,261,478</b>   | <b>2,409,959</b>   |
| <b>მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)</b> |          | <b>(2,614,878)</b> | <b>(2,210,078)</b> |

  
 ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი  
 ბაქარ ჩიტაია  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

  
 ბუღალტერი  
 გოჩა მამუჭაძე  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

კაპიტალის ცვლილების ანგარიში  
შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“  
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება(ზარალი) | რეზერვები    | ჯამურად       |
|----------------------------------------------|-----------------------|---------------------------------|--------------|---------------|
| ნაშთი 2021 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 113,416,140           | (3,570,601)                     | 107,362,540  | 217,208,079   |
| პერიოდის ცვლილება                            | 30,751,300            | (2,210,078)                     | 24,481,135   | 53,022,357    |
| ნაშთი 2022 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 144,167,440           | (5,780,679)                     | 131,843,675  | 270,230,436   |
| პერიოდის ცვლილება                            | (38,661,936)          | (2,614,878)                     | (98,316,368) | (139,593,183) |
| ნაშთი 2023 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 105,505,504           | (8,395,558)                     | 33,527,307   | 130,637,253   |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ბაქარ ჩიტაია

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გოჩა მამუკაძე

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

**კაპიტალის ცვლილების ანგარიში**  
**შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“**  
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება(ზარალი) | რეზერვები    | ჯამურად       |
|----------------------------------------------|-----------------------|---------------------------------|--------------|---------------|
| ნაშთი 2021 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 113,416,140           | (3,570,601)                     | 107,362,540  | 217,208,079   |
| პერიოდის ცვლილება                            | 30,751,300            | (2,210,078)                     | 24,481,135   | 53,022,357    |
| ნაშთი 2022 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 144,167,440           | (5,780,679)                     | 131,843,675  | 270,230,436   |
| პერიოდის ცვლილება                            | (38,661,936)          | (2,614,878)                     | (98,316,368) | (139,593,183) |
| ნაშთი 2023 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით | 105,505,504           | (8,395,558)                     | 33,527,307   | 130,637,253   |

  
 ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი  
 ბაქარ ჩიტაია  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

  
 ბუღალტერი  
 გოჩა მამუჭაძე  
 24 ივნისი 2024  
 თბილისი, საქართველო

## ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“  
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                                                                      | 2023                 | 2022                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|---------------------|
| მოგება/ზარალი                                                                                        | (2,614,878)          | (2,210,078)         |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                                |                      |                     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                 | (2,667,493)          | (3,166,959)         |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b> | <b>(5,282,372)</b>   | <b>(5,377,037)</b>  |
| ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში                                                                   | (4,711,918)          | (246,110)           |
| ცვლილებები დარიცხულ მოთხოვნებში                                                                      | (2,459)              | (19,083)            |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                                                            | (40,284)             | (22,625)            |
| ცვლილებები საგდასახადო აქტივებში                                                                     | 865,180              | 4,272,383           |
| ცვლილებები ვალდებულებებში მიწოდება/მომსახურებიდან                                                    | (946,125)            | (21,506,514)        |
| ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში                                                             | 64                   | -                   |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                  | <b>(10,117,914)</b>  | <b>(22,898,986)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                    |                      |                     |
| ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა                                                                | 147,579,988          | (30,203,959)        |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                | <b>147,579,988</b>   | <b>(30,203,959)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                       |                      |                     |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება                                                                         | (38,661,936)         | 30,751,300          |
| სარეზერვო კაპიტალის ცვლილება                                                                         | (98,316,368)         | 24,481,135          |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                   | <b>(136,978,304)</b> | <b>55,232,435</b>   |
| <b>ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება</b>                                                        | <b>483,770</b>       | <b>2,129,490</b>    |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში                                                      | 4,705,779            | 2,576,288           |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                                                    | <b>5,189,549</b>     | <b>4,705,778</b>    |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ბაქარ ჩიტაია

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გოჩა მამუჭაძე

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

## ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                                                                      | 2023                 | 2022                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|---------------------|
| მოგება/ზარალი                                                                                        | (2,614,878)          | (2,210,078)         |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                                |                      |                     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                 | (2,667,493)          | (3,166,959)         |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b> | <b>(5,282,372)</b>   | <b>(5,377,037)</b>  |
| ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში                                                                   | (4,711,918)          | (246,110)           |
| ცვლილებები დარიცხულ მოთხოვნებში                                                                      | (2,459)              | (19,083)            |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                                                            | (40,284)             | (22,625)            |
| ცვლილებები საგდასახადო აქტივებში                                                                     | 865,180              | 4,272,383           |
| ცვლილებები ვალდებულებებში მიწოდება/მომსახურებიდან                                                    | (946,125)            | (21,506,514)        |
| ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში                                                             | 64                   | -                   |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                  | <b>(10,117,914)</b>  | <b>(22,898,986)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                    |                      |                     |
| ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა                                                                | 147,579,988          | (30,203,959)        |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                | <b>147,579,988</b>   | <b>(30,203,959)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                       |                      |                     |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება                                                                         | (38,661,936)         | 30,751,300          |
| სარეზერვო კაპიტალის ცვლილება                                                                         | (98,316,368)         | 24,481,135          |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                   | <b>(136,978,304)</b> | <b>55,232,435</b>   |
| <b>ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება</b>                                                        | <b>483,770</b>       | <b>2,129,490</b>    |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში                                                      | 4,705,779            | 2,576,288           |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                                                    | <b>5,189,549</b>     | <b>4,705,778</b>    |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ბაქარ ჩიტაია

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გოჩა მამუჭაძე

24 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ (სნ 445409415, შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია 2012 წლის 3 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოების 100%-იანი დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (სნ 245429200), ხოლო დირექტორი ბაქარ ჩიტაია (პნ 62003013964). იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი, N 13

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ძირითად საქმიანობად განისაზღვრა: საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან, მომსახურებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მართვა და მენეჯმენტი. საზოგადოების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან მიღებული ტრანსფერები.

### 2. მომზადების საფუძვლები

#### ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

## **შეფასების საფუძვლები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

### **საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## **ფინანსური ინსტრუმენტები**

### **(ა) ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

### **რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

### **დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები**

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე

ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

### **სესხები და მოთხოვნები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები**

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

### **(ბ) ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე

განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### **ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

პირი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### **(გ) გადახურვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია**

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

პირს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხდება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება აქტივების სავარაუდო საექსპლოატაციო ვადის შესაბამისად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით.

| <b>ჯგუფი</b>                | <b>%</b> |
|-----------------------------|----------|
| შენობები                    | 5        |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 15-20    |

## **მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

## **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

## **კაპიტალი & დივიდენდები**

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

## **დაბეგვრა**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

## **შემოსავალი**

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

## **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

## **საოპერაციო იჯარა**

პირი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

## **უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია**

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2023-2022 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

|                                           | დოლარი | ევრო   |
|-------------------------------------------|--------|--------|
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020 | 2.8844 |

### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც იურიდიულმა პირმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება იურიდიული პირის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, იურიდიული პირი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, იურიდიული პირი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი

წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

## 4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

## 5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

## 6. ფიქსირებული აქტივები

|                             | მიწის<br>ნაკვეთები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებები | არამატერიალური<br>აქტივები | ჯამი               |
|-----------------------------|--------------------|-----------------------------|-----------------------|------------------------|-----------------------|-----------------------------|---------------------------------|----------------------------|--------------------|
| <b>ბალანსი 31/12/2021</b>   | <b>31,740,000</b>  | <b>81,084,092</b>           | <b>117,865,848</b>    | <b>1,222,205</b>       | <b>201,326</b>        | <b>28,748</b>               | <b>886,581</b>                  | <b>2,045</b>               | <b>233,030,845</b> |
| დანამატები 2022             | 30,751,300         | 5,102,853                   | 57,528,214            | -                      | 608,408               | 70,605                      | 3,778                           | 932                        | 94,066,090         |
| აქტივების ჩამოწერა 2022     |                    | (57,528,214)                |                       |                        |                       |                             |                                 |                            | (57,528,214)       |
| ცვეთა პერიოდისათვის         |                    |                             | (3,000,874)           | (24,814)               | (27,644)              | (9,174)                     | (104,452)                       |                            | (3,166,959)        |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b>   | <b>62,491,300</b>  | <b>28,658,730</b>           | <b>172,393,188</b>    | <b>1,197,391</b>       | <b>782,090</b>        | <b>90,179</b>               | <b>785,908</b>                  | <b>2,977</b>               | <b>266,401,762</b> |
| დანამატები 2023             |                    | 4,618,981                   | 1,714,315             |                        | 22,461.84             | 108,000.00                  | 678                             |                            | 6,464,435          |
| აქტივების ჩამოწერა 2023     | (30,204,270)       | (1,723,213)                 | (116,358,874)         |                        | (3,255)               |                             | (419,824)                       |                            | (148,709,437)      |
| ცვეთა პერიოდისათვის<br>2023 |                    |                             | (2,510,518)           | (24,814)               | (31,104)              | (25,882)                    | (75,175)                        |                            | (2,667,493)        |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b>   | <b>32,287,030</b>  | <b>31,554,497</b>           | <b>55,238,111</b>     | <b>1,172,577</b>       | <b>770,193</b>        | <b>172,297</b>              | <b>291,586</b>                  | <b>2,977</b>               | <b>121,489,268</b> |

## 7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                      | 12/31/2023 | 12/31/2022 |
|---------------------------------|------------|------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 5,189,548  | 4,705,779  |
| ჯამურად                         | 5,189,548  | 4,705,779  |

## 8. მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023-2022 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                               | 12/31/2023 | 12/31/2022 |
|------------------------------------------|------------|------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები         | 4,650,000  | 28,448     |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 900,705    | 1,305,849  |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 568,830    | 343,440    |
| მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები               | 6,119,535  | 1,677,737  |
| <i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>       | 387,266.40 | 657,387    |
| წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 5,732,269  | 1,020,350  |

## 9. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი 2023-2022 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                   | 12/31/2023 | 12/31/2022 |
|------------------------------|------------|------------|
| სასაქონლო მატერიალური მარაგი | 100,470    | 60,186     |
| ჯამურად                      | 100,470    | 60,186     |

## 10. დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან

დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან 2023-2022 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                              | 12/31/2023       | 12/31/2022       |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 1,986,906        | 2,932,311        |
| მიღებული ავანსები                       | 406,507          | 406,079          |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები         | 1,412            | 2,560            |
| <b>ჯამურად</b>                          | <b>2,394,825</b> | <b>3,340,950</b> |

## 11. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2023-2022 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                            | 2023             | 2022             |
|---------------------------------------|------------------|------------------|
| სოციალური დანარიცხები                 | 47,828           | 33,631           |
| საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები | 387,266          | 657,387          |
| კომუნიკაციის ხარჯები                  | 10,403           | 5,824            |
| კომუნალური ხარჯები                    | 461,004          | 406,215          |
| სამეურნეო ხარჯი                       | 34,385           | 16,315           |
| სტადიონის დასუფთავების ხარჯი          | 41,864           | 34,017           |
| აუდიტორული მომსახურების ხარჯი         | 13,375           | 7,640            |
| წარმომადგენლობითი ხარჯი               | 4,827            | 4,000            |
| სარეკლამო ხარჯი                       | 3,240            | 3,300            |
| მინდვრის მოვლის ხარჯი                 | 483,000          | 306,444          |
| საექსპერტო მომსახურების ხარჯი         | 1,801            | 700              |
| სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო  |                  | 91,804           |
| რემონტის ხარჯი                        | 5,025            | 17,360           |
| საწვავის ხარჯი                        | 4,269            | 16,993           |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები  | 29,334           |                  |
| სამივლინებო ხარჯები                   | 15,467           |                  |
| საკანცელარიო ხარჯი                    | 1,978            | 1,370            |
| ანალიტიკური სამსახურის მომსახურება    | 7,354            |                  |
| სხვა ხარჯები                          | 27,441           | 22,018           |
| <b>ჯამურად</b>                        | <b>1,579,863</b> | <b>1,625,018</b> |

## 12. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2023-2022 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| დასახელება                      | 2023             | 2022             |
|---------------------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავლები ბანკიდან | 638,812          | 647,134          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი   | 622,667          | 1,763,845        |
| <b>ჯამურად</b>                  | <b>1,261,478</b> | <b>2,410,979</b> |

## 13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა იურიდიული პირების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს პირის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს პირის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

## საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე პირი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ფინანსური აქტივები                | 12/31/2023 | 12/31/2022 |
|-----------------------------------|------------|------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში   | 5,189,548  | 4,705,779  |
| წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 5,732,268  | 1,020,350  |
| სულ ფინანსური აქტივები            | 10,921,817 | 5,726,129  |

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს პირის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება პირის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო

განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

**- საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

**- სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

## **14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

## 15. სასამართლო დავები

კომპანიის იურისტების განმარტებით შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიას“ გააჩნია სამი სასამართლო დავა.

კერძოდ

1. შპს „ბლოკ ჯორჯიას“ მიმართ დავის საგნის ღირებულებაა: 14 850 ლარი (ძირითადი მოთხოვნა); 444,50 ლარი (სახელმწიფო ბაჟი);
2. შპს „სენსორის“ მიმართ დავის საგნის ღირებულებაა: 84 840,20 ლარი (ძირითადი მოთხოვნა); 2545,21 ლარი (სახელმწიფო ბაჟი);
3. შპს „დინამო ბათუმის“ მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილია სარჩელი იჯარის ხელშეკრულებით შეუსრულებლობისა და თანხის დაკისრების თაობაზე. საბოლოო დაზუსტებული სარჩელის მიხედვით მოპასუხეს შპს „ბათუმის დინამოს“ (ს/კ 245 622 205) მოსარჩელის შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ სასარგებლოდ აქვს დავალიანება, ძირითადი თანხის 878 302 ლარის ოდენობით, რაც შეეხება დარიცხულ პირგასამტეხლოს მისი ოდენობა წარმოადგენს 1 156 264 ლარს. ასევე მოსარჩელე მოითხოვს შპს „დინამო ბათუმის“ მიერ დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურებას - 16 815 ლარის ოდენობით.

## 16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

## 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

# შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“

(საიდ. კოდი 445409415)

## მმართველობის

## ანგარიშგება

(2023 წლის 31 დეკემბერს

დამთავრებული წლისათვის)

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ს/ნ 245429200).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 1 მაისის №88 ბრძანებით დაფუძნდა შპს „Boulevard Trading“-ი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №232 ბრძანებით შპს „Boulevard Trading“-ს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „ვეტერინარი“. ამავე ბრძანებით დამტკიცდა საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია და შეიცვალა საქმიანობის პროფილი. საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას ამ პერიოდისათვის წარმოადგენდა ვეტერინარული მომსახურება. საზოგადოება აღნიშნული დანიშნულებით ფუნქციონირებდა 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 31 ივლისის №141 განკარგულებით მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინადადება ქალაქ ბათუმში საერთაშორისო სტანდარტების სტადიონის და მრავალპროფილური საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების ან/და ამ ფუნქციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მართვაში არსებული სხვა საწარმოს მხრიდან შესრულების თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №ს-363 ბრძანებით შპს „ვეტერინარს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „სტადიონი“, რომელიც მოქმედებდა 2020 წლის პირველ ივლისამდე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის პირველის ივლისის №01-01-3/144 ბრძანებით საზოგადოებას შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“, დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია, ხოლო საქმიანობის მიმართულებები ფაქტობრივად დარჩა უცვლელი. საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრულია: საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან, მომსახურებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მართვა და მენეჯმენტი, ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება პარტნიორის ინტერესებს..

2015 წლის 06 ოქტომბრიდან შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ სსკ-ის 158-ე მუხლის შესაბამისად ნებაყოფილობითი წესით რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

შპს-ში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 116 პერსონალი, მათ შორის 90 საშტატო და 26 შტატგარეშე პოზიციაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილებების და დავალებების საფუძველზე 2020 წლიდან 2023 წლის ჩათვლით პერიოდში შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ახორციელებდა/ახორციელებს აჭარის რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი 17 ინფრასტრუქტურული პროექტის ოპერირებას:

1. ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩა №164/ტბელ აბუსერისძის ქუჩა №2-ში (ს/კ 05.27.09.011) 170 საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა;
2. ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (ს/კ 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ას IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა;
3. ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქუჩა №15-ში (ს/კ 05.25.12.012; 05.25.07.028; 05.25.12.010) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა;

4. ქალაქ ბათუმში, ლადო ასათიანის ქუჩა №27-ში (ს/კ 05.26.12.009) დახურული სპორტული კომპლექსის - ყინულის არენის და საცურაო აუზის მშენებლობა;
5. დაბა ჩაქვში, მეგენიშვილის ქუჩა №17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა;
6. ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ ღორჯომში სპორტული დარბაზის მშენებლობა;
7. შუახევის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია;
8. ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა;
9. ჩაქვში რაგბის სპორტული მოედნის მშენებლობა, სხვა მუნიციპალიტეტებში სარაგბო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
10. საჩოგბურთო კომპლექსის რეაბილიტაცია;
11. ახალსოფლის სპორტული კომპლექსისა და სტადიონის მშენებლობა;
12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხუცუბანში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.39.04.033) და შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ფურტიოში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 24.01.38.289) ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანის მოწყობა;
13. დაბა ქედაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 21.03.35.656 და 21.03.35.040) სასპორტო სკოლის მშენებლობის, „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს სათამაშო მოედანის რეაბილიტაციისა და საფეხბურთო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;
14. შუახევის მუნიციპალიტეტის მთა ჩირუხში, ზიპლაინის მოწყობის სამუშაოები;
15. ქალაქ ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 05.25.12.025, თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლის მშენებლობის სამუშაოები;
16. ხულოს მუნიციპალიტეტში, დაბა ხულოში წერეთლის ქუჩა N4, N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.11.31.947) თანამედროვე სტანდარტების სასპორტო სკოლის მოწყობისა და საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები;
17. ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის, ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს არსებულ შენობაზე მიშენებისა და შპს ბათუმის #1 მრავალფუნქციური პოლიკლინიკის მშენებლობის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურული პროექტების ოპერირება მოიცავს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების, პროექტირება-მშენებლობასთან დაკავშირებული საქონელისა და მომსახურების შესყიდვების დაგეგმვა/ორგანიზება/განხორციელებას, საპროექტო - სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს და ობიექტების ექსპლუატაციისათვის მომზადების პროცესს. კომპანია შესყიდვებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად ნაშთებზე დარიცხული სარგებელით, ასევე ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ-ს თანხებით. ბიუჯეტიდან დაფინანსება ხდება საზოგადოების პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებლის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, საჭიროების შესაბამისად, წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე დამტკიცებული დაფინანსების გეგმის ფარგლებში. შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“-ში ხორციელდება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში მომწოდებლებზე დასაფინანსებელ თანხებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ხდებოდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელება.

საზოგადოების არსებული სახით შექმნის დღიდან - 2015 წლის 4 აგვისტოდან დღემდე პერიოდში, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“-ს გააჩნია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც მოიცავს: ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სახელის დარქმევის, რეკლამისა და სხვა სახის უფლებებით სარგებლობა, და საიჯარო მომსახურება. გარდა საწესდებო კაპიტალში განხორციელებული

ფულადი შენატანებისა, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ საკუთარი შემოსავლების სახით ღებულობს სარგებელს მომსახურე ბანკში არსებულ თავისუფალ ფულად ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებელის სახით, ასევე სავალუტო საკურსო სხვაობით მიღებული არასაოპერაციო შემოსავლები და ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხული ჯარიმები და პირგასამტეხლობები, რომელიც ჩართულია ერთობლივ შემოსავალში.

კომპანია აღრიცხვა - ანგარიშგებას ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების მარეგულირებელი კანონების, კანონქვემდებარე აქტებით დარეგულირებული მოთხოვნათა შესაბამისად.

#### **მიღწევები:**

წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიერ რეგიონში განსახორციელებელი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 5 პროექტი უკვე შესრულდა. მათ შორის:

- ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩა №164/ტბელ აბუსერისძის ქუჩა №2-ში (ს/კ 05.27.09.011) 170 საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა 2020 წელში დასრულდა, მშენებელ კომპანიასთან ამავე წლის 4 სექტემბერს შედგა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს #01-03/165 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული აღნიშნული ობიექტი. აღსანიშნავია, რომ 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობის პროცესში შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ წარმოადგენს მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების და სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურებების შემსყიდველს და მშენებლობის დასრულების შემდგომ, შენობა (საავადმყოფო), შემდგომი განკარგვისათვის, საწესდებო კაპიტალიდან გამოტანის გზით, გადაცემული იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და მისი, როგორც სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების უზრუნველყოფა კომპანიას ფაქტობრივად არ განუხორციელებია. ობიექტის მშენებლობის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების დასრულებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაპირებისამებრ დაიწყო აღნიშნული შენობ(ებ)ის კაპიტალიდან გატანის პროცესი. საჯარო რეესტრის 2020 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით ამონაწერში უკვე მესაკუთრედ დაფიქსირებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. სამინისტროს 2020 წლის 25 სექტემბრის შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ #01-01-3/238 ბრძანებით ფაქტიურად დასრულდა საავადმყოფოს შენობების მათ შორის, დამხმარე შენობების (#02, #04, #05, #06) საწესდებო კაპიტალიდან გატანის პროცესი;
- ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (ს/კ 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ს IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა დასრულებულია, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს 2020 წლის 9 სექტემბრის #21-04/05 ბრძანებით აღნიშნული ობიექტი მიღებული იქნა ექსპლუატაციაში. 2023 წელში აღნიშნული ობიექტი (უძრავი ქონება სრულად, ხოლო მოძრავი ქონების ნაწილი) გატანილი იქნა საწესდებო კაპიტალიდან. პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით უძრავი ქონების ნაწილი და მოძრავი აქტივები (საწესდებო კაპიტალიდან გატანილი) კომპანიას გადმოეცა სარგებლობაში, ხოლო უძრავი ქონების დანარჩენი ნაწილის საწესდებო კაპიტალის შემოტანაზე მიმდინარეობს შესაბამისი პროცესი;
- დასრულდა და ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქალაქ ბათუმში, ლეონიდის ქუჩა №15-ში (ს/კ 05.25.12.012; 05.25.07.028; 05.25.12.010) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა. 2022 წლის მაისში შედგა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს ამავე წლის 12 ივლისის ბრძანების საფუძველზე აღნიშნული ობიექტი ექსპლუატაციაში იქნა მიღებული. აღნიშნული ობიექტი 2024 წელში გატანილი იქნება კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან. მიდინარეობს საწესდებო კაპიტალიდან გატანის პროცესი;
- 2023 წელში დასრულდა და ექსპლუატაციაში იქნა მიღებული შუახევის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია. 2023 წლის 31 ივლისს შედგა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2023 წლის 21 სექტემბრის N 01-01-3/475 ბრძანებით აღნიშნული ობიექტი გატანილი იქნა საწესდებო კაპიტალიდან;

- ასევე, დასრულდა დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის ქუჩა №17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა. ამავე წლის 21 დეკემბერს შედგა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენილი იქნა ინფორმაცია ექსპლუატაციის დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებით.

სამუშაოების შესრულების კონტროლის მიზნით დამატებით დაქირავებულია კომპანიები ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით, ამასთან პერსონალისგან შექმნილია ჯგუფები, რომლებიც თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ სამუშაოთა წარმოებების მონიტორინგს და ხელმძღვანელობას წარუდგენენ შესაბამის ანგარიშებს. ასევე, ობიექტის საბოლოო მიღებამდე ხდება საექსპერტო შესწავლა.

კომპანიას სტადიონის ნაწილი ფართები აქვს იჯარით გაცემული. საიჯარო ფართების გაცემა განხორციელდა სამინისტროს (პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი) თანხმობის საფუძველზე ელექტრონული აუქციონის საშუალებით. მატერიალური ქონების გაქირავების გარდა ასევე ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სახელის დარქმევის, რეკლამისა და სხვა სახის უფლებებით სარგებლობის მიზნით 2021 წელში გამოცხადდა აუქციონი, გამოვლინდა გამარჯვებული და 5 წლიანი ვადით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია იღებს ყოველთვიურ შემოსავალს.

კომპანიაში პერსონალის შესახებ დასაქმება-გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე. პარტნიორთან შეთანხმებით ასევე ხდება დამატებით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება. ამასთან, პერსონალი სარგებლობს შვებულებით, გაითვალისწინება დროებითი შრომისუუნარობა და ასევე, სრულად ხდება გათვალისწინება შრომის შესახებ მარეგულირებელი ნორმები. ამასთან დანერგილია შრომის უსაფრთხოების სისტემა. საფრთხის შემცველი სამუშაოების შემსრულებელ პერსონალი კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით არის დაზღვეული სადაზღვევო კომპანიის მიერ.

კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობა ხორციელდება საბანკო მომსახურების საშუალებით. კომპანია საბანკო მომსახურების მიღების მიზნით პერიოდულად (მათ შორის ბაზარზე არსებითი ცვლილებების შემთხვევაში) ახორციელებს საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებთან გამოკითხვას შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით. წარმოდგენილი შემოთავაზებებიდან უკეთესი პირობების გათვალისწინებით ფორმდება საბანკო ხელშეკრულება. საბანკო ტრანზაქციების შესასრულებლად დანერგილია ავტორიზაციის 2 დონიანი სისტემა.

კომპანია არის დღგ-ს გადამხდელი. შემოსავლების გათვალისწინებით ხორციელდება ბიუჯეტში გადახდა, ხოლო გადახდილი დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით ბიუჯეტიდან დაბრუნება.

ამასთან კომპანია 2021 წლის პირველი იანვრიდან სარგებლობს ქონების გადასახადის შეღავათით შემდეგის გათვალისწინებით: „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ამავე საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №1 დადგენილებით დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატა „ა.დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა სპორტის დარგში გარკვეული სახეობებისათვის გადასახადის ქონების გადასახადის განაკვეთი - 0,01 პროცენტი. კერძოდ: „ა.დ) სპორტის დარგში (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 პუნქტებით განსაზღვრული სპორტული ობიექტები (ღია, დახურული დასასხდომი ადგილებით ან მათ გარეშე), რომლებიც გამოიყენება პროფესიონალი ან/და სპორტული ღონისძიებების, შეჯიბრებების ჩასატარებლად, გარდა 93.13 პუნქტით განსაზღვრული ობიექტებისა) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და ქონებად საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და მის მიერ ღირებულებით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს“.

## მიმდინარე სამუშაოები:

წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიერ ხორციელდება 4 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის:

- 1) ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ ღორჯომში მიმდინარეობს სპორტული დარბაზის მშენებლობა. პროექტის დასრულების ეტაპზეა;
- 2) დაბა ჩაქვში, 15 058 კვ.მ. (ს/კ: 20.48.01.137) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედნის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები;
- 3) შუახევის მუნიციპალიტეტის მთა ჩირუხში, აქტიურად მიმდინარეობს ზიპლაინის მოწყობის სამუშაოები.

## გეგმები:

კომპანიას 2024 – 2027 წლებში დაგეგმილი აქვს ზემოთ ხსენებული პროექტების დასრულება და ახალი პროექტების განხორციელება. კერძოდ:

- 1) განახლება ლადო ასათიანის ქუჩა №27-ში (ს/კ 05.26.12.009) დახურული სპორტული კომპლექსის - ყინულის არენის და საცურაო აუზის მშენებლობის სამუშაოები;
- 2) ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა 2024-2027 წლებში;
- 3) ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლებაში საჩოგბურთო კომპლექსის რეაბილიტაცია 2024-2025 წლებში;
- 4) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხელვაჩაურის სასპორტო სკოლისა და საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 2024-2027 წლებში;
- 5) ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხუცუბანში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.39.04.033) და შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ფურტიოში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 24.01.38.289) ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანის მოწყობა 2024-2027 წლებში;
- 6) დაბა ქედაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 21.03.35.656 და 21.03.35.040) სასპორტო სკოლის მშენებლობის, „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს სათამაშო მოედანის რეაბილიტაციისა და საფეხბურთო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები 2024-2027 წლებში;
- 7) ქალაქ ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 05.25.12.025, თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლის მშენებლობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2027 წლებში;
- 8) ხულოს მუნიციპალიტეტში სასპორტო სკოლის მშენებლობის, საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2026 წლებში;
- 9) ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის, ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს არსებულ შენობაზე მიშენებისა და შპს ბათუმის #1 მრავალფუნქციური პოლიკლინიკის მშენებლობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2026 წლებში;

დირექტორი

ბაქარ ჩიტაია

## მიმდინარე სამუშაოები:

წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიერ ხორციელდება 4 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის:

- 1) ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ ღორჯოშში მიმდინარეობს სპორტული დარბაზის მშენებლობა. პროექტის დასრულების ეტაპზეა;
- 2) დაბა ჩაქვი, 15 058 კვ.მ. (ს/კ: 20.48.01.137) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედნის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები;
- 3) შუახევის მუნიციპალიტეტის მთა ჩირუხში, აქტიურად მიმდინარეობს ზიპლაინის მოწყობის სამუშაოები.

## გეგმები:

კომპანიას 2024 – 2027 წლებში დაგეგმილი აქვს ზემოთ ხსენებული პროექტების დასრულება და ახალი პროექტების განხორციელება. კერძოდ:

- 1) განახლება ლადო ასათიანის ქუჩა №27-ში (ს/კ 05.26.12.009) დახურული სპორტული კომპლექსის - ყინულის არენის და საცურაო აუზის მშენებლობის სამუშაოები;
- 2) ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა 2024-2027 წლებში;
- 3) ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლებაში საჩოგბურთო კომპლექსის რეაბილიტაცია 2024-2025 წლებში;
- 4) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხელვაჩაურის სასპორტო სკოლისა და საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 2024-2027 წლებში;
- 5) ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხუცუბანში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.39.04.033) და შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ფურტიოში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 24.01.38.289) ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანის მოწყობა 2024-2027 წლებში;
- 6) დაბა ქედაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 21.03.35.656 და 21.03.35.040) სასპორტო სკოლის მშენებლობის, „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს სათამაშო მოედანის რეაბილიტაციისა და საფეხბურთო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები 2024-2027 წლებში;
- 7) ქალაქ ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 05.25.12.025, თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლის მშენებლობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2027 წლებში;
- 8) ხულოს მუნიციპალიტეტში სასპორტო სკოლის მშენებლობის, საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2026 წლებში;
- 9) ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის, ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს არსებულ შენობაზე მიმდინარეობს და მშპს ბათუმის #1 მრავალფუნქციური პოლიკლინიკის მშენებლობის სამუშაოები განხორციელდება 2024 – 2026 წლებში;

დირექტორი

ბაქარ ჩიტაია